ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 140

“11” აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №650-ის მიმდებარედ არსებული 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის“ (ს/ნ. 405252471) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №650-ის მიმდებარედ, 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის“ (ს/ნ. 405252471) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 5 აპრილის №23.425.485 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №650-ის მიმდებარედ არსებული 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის“ (ს/ნ: 405252471) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8280 (რვა ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე